# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულო

## განკარგულება № 54

**2020 წლის 08 მაისი**

ქ.გორი

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2019 წლის მარტიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2019 წლის მარტიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის ' „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2019 წლის მარტიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

218096087

# გორის მუნიციპალიტეტის მერია

KA990114481343320

საქართველო, გორი 1400, გ. ფერაძის 5; ს/კ 218086087

№ 12/6823

21 / აპრილი / 2020 წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი 2020 წლის 13 აპრილის #03/104 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, 2019 წლის მარტის თვეში გრძელდებოდა, 2002 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომელიც დაიწყო 2019 წლის იანვარის თვიდან და დასრულდა 31 აპრილს. სასწავლო დაწესებულებებიდან და სამოქალაქო რეესტრიდან გამოთხოვილი სიების შედარების შემდეგ, აღრიცხვაზე ასაყვანი იყო-840 , საიდანაც აყვანილი იქნა-787 ჭაბუკი.

გასული წლის მარტის თვეში, მიწერის პარალელურად, სამხედრო სამსახურში მიმდინარეობდა 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც გრძელდებოდა 1 თებერვალიდან- 29 ივნისამდე. გორის სამხედრო სამსახურს განესაზღვრა, გრაფიკის მიხედვით-77 წვევამდელის გაწვევა.

გაწვევის პერიოდში, სამხედრო სამსახურის მიერ, მობილიზებული და საქართველოს შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილი იქნა-327 წვევამდელი, საიდანაც გამწვევ-სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ, სხვადასხვა სამინისტროს გასამხედროებულ ნაწილებში ჩაირიცხა-101 წვევამდელი, ნაწილი წვევამდელების, დაბრუნებულნი იქნენ არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვადიან სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა-11 წვევამდელი, ხოლო მომზადებული საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე, ალტერნატიულ-შრომით სამსახურში გაწვეული იქნა-15 წვ.

საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში, სამხედრო სამსახურში გამოცხადებული წვევამდელებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კანონის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, გაწვევიდან გათავისუფლდა-21 წვევამდელი, ხოლო გაწვევა გადაევადა - 980 წვევამდელს, საიდანაც გადავადებისათვის გათვალისწინებული მოსაკრებელი 2000 (ორი ათასი) ლარი გადაიხადა 2-მა წვევამდელმა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 4000 (ოთხი ათასი) ლარი, ხოლო გაწვევიდან თავის არიდების მიზნით, "ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესიის", ე. წ. "გირჩის" მოწმობა წარმოადგინა-149 წვევამდელმა.

წვევამდელთა ნაწილი, მიუხედავად მრავალჯერადი გაფრთხილებისა, თავს არიდებდა გამწვევ კომისიაზე გამოცხადებას, რის გამოც, კანონის შესაბამისად, საჭირო ზომების მისაღებად, გამოუცხადებელი 336 წვევამდელის სახელობითი სია, გადაეცა შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის, გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილებებს, რის შედეგადაც გამოცხადდა-194, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოს გადაეცა მასალები- 97 წვევამდელზე, საიდანაც დაჯარიმებული იქნა-25 წვ.

გაწვევის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ წვევამდელთა დიდ ნაწილს შეცვლილი ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი ან გასული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ, რის გამოც სამსახურს პერიოდულად უწევდა დამატებითი ინფორმაციის მოძიება, სამოქალაქო რეესტრის გორის სამსახურიდან, აგრეთვე სახლვრის დაცვის დეპარტამენტიდან.

გასული წლის ივლისის თვეში, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები საშემოდგომო გაწვევისათვის.

- 110 წვევამდელის გაწვევა.

სამხედრო სამსახურის მიერ, წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილი იქნა-316 წვევამდელი, საიდანაც გამწვევ-სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ, ჩაირიცხა-131 წვ.
შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიან სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა-17, ალტერნატიულ-შრომით სამსახურში-7 წვ.

კანონის შესაბამისად, გაწვევიდან გათავისუფლდა-18 წვევამდელი, ხოლო გაწვევა გადაევადა -924 წვევამდელს, აქედან გადავადებისათვის გათვალისწინებული მოსაკრებელი 2000 (ორი ათასი) ლარი, გადაიხადა-7-მა წვევამდელმა და ბიუჯეტში ჩაირიცხა-14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი, ხოლო ე.წ. "გირჩი"-ს მოწმობა წარმოადგინა-146 წვევამდელმა.

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში, გამოუცხადებლობის გამო, პოლიციის განყოფილებებს გადაეცა-178 წვევამდელის სახელობითი სია, გორის რაიონულ სასამართლოს კი-მასალები 60 წვევამდელზე, საიდანაც დაჯარიმდა-9 წვევამდელი.

პირველადი აღრიცხვის, საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის შედეგების და საერთო რესურსის შესახებ ანგარიში, მოთხოვნილი ფორმების შესაბამისად, წარედგინა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

2019 წლის მარტის თვიდან დღემდე, სათანადო მომართვების საფუძველზე, მომზადდა პირადი საქმე 2-2 ეგზემპლარად და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში გაწვეული იქნა- 238 რეკრუტი.

წლის განმავლობაში, სამხედრო სამსახურში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მოქალაქეების რეზერვისტთა საერთო აღრიცხვაზე აყვანა, ამ მიზნით, დღეის მდგომარეობით, აღრიცხვაზე აყვანილია- 860 რეზერვისტი.

2019 წლის მარტიდან მიმდინარე პერიოდამდე, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, აღრიცხვიდან მოიხსნა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების სამხედრო სამსახურებში გადაიგზავნა -342 , ხოლო მიღებული იქნა -112 წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

მოქალაქეთა მოთმოთხოვნის შესაბამისად, გამოიწერა და გაიცა რეზერვისტის - 353, ხოლო წვევამდელის-629 სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა,

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნით, მათ მიერ კონტროლირებად ბაზაში, განუწყვეტლივ მიმდინარეობს ელექტრონულად, თვითოეულ წვევამდელზე ინფორმაციის განახლება.

2019 წლის ოქტომბრის თვიდან, სამხედრო სამსახურში მიმდინარეობდა მზადება 2020 წლის იანვრის თვიდან, 2003 წელს დაბადებული ჭაბუკების, პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად. ამ მიზნით მომზადდა საერთო სია და დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც აღრიცხვაზე ასაყვანი- 850 ჭაბუკიდან, ამჟამად აღრიცხვაზე აყვანილია-763 ჭაბუკი.

2020 წლის იანვრის თვეში, მიმდინარეობდა მზადება საგაზაფხულო გაწვევისათვის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც დაიწყო საქართველოს მთავრობის 30 იანვრის დადგენილებით და მიმდინარეობს ა/ წლის 30 ივნისამდე.

გორის სამხედრო სამსახურს განესაზღვრა-85 წვევამდელის გაწვევა. მიმდინარე პერიოდამდე, წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში, ჩაყვანილია-62 წვევამდელი, საიდანაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია-27 წვ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული, არის ის ძირითადი სამუშაოები, რომელიც ჩაატარა სამხედრო სამსახურმა, 2019 წლის მარტის თვიდან მიმდინარე პერიოდამდე, რაც დადასტურებულია დოკუმენტაციით.